470
1917

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინა-ბიმნაზია უნივერსიტეტი



ლვინობისთვე № 4 1917 წ.

შინ-წავლის სახელმძღვანელო ჟურნალი

ჟურნალი „შინა-ბიმნაზია-უნივერსიტეტი“ გამოდის მკათათვიდან თვეში თითო წიგნი, წლის დამლევამდე გამოვ›სულ 6 წიგნი. ფასი ექვსი წიგნისა 5 მანეთი. ფული უნდ› გამოგზავნილ›ს ფოსტით ამ მისამართით: Въ Тифлисъ, Тумановскій переулокъ, 24, Ивану Павловичу Ростомашвили.

ბ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგია.

მეოთხე გაკვეთილი.

სიმხნე და სიმამაცე.

„მე არა მრწამს არც კერპები და არც ეშმაკებიო“,—ამბობდა ერთი ძველი ინგლისელი,—„მე მრწამს მხოლოდ ჩემი სულისა და ხორცის ძალა და უსასრულოს შემთხვევაშიაც მხოლოდ ამ ძალას ვენდობი მეო“.

ენერგიული ხასიათი ადამიანში შეუნაცვლებელი რამ თვისებაა. უმისოდ ყოვლად-შემძლებელი შრომა-მოუვარეობაც თითქმის არაფერია. მხოლოდ სიმხნე აძლევს ძალას ადამიანს გაიკვლიოს გზა. საქმის წარმატებით წარმოებისათვის იმდენად საჭირო არ არის დიდი ნიჭი, რამდენადაც გარკვეული გამბედაობა, ამიტომ მხნე ხასიათს ჩვენ შეგვიძლიან ვუწოდოთ ადამიანის ქვა-კუთხედ ნიჭად. შეიძლება ვსთქვათ, რომ მხოლოდ იგი და სხვა არაფერი შეადგენს თვით ადამიანსა. იგი აძლევს მიმართულებას ყოველ მის მოქმედებას და უმატებს ცხოველმყოფელობას მის ყოველ მისწრაფებას. მხოლოდ ამაზეა დაფუძნებული იმედი ის იმედი, ურომლისოდაც თვით სიცოცხლეც შეუძლებელია. სირახიც (ებრაელთა მწერალია) კი ამბობს: „ვაი სულ-მოკლესაო“! მართლაც და, აბა, რა იქნება მხნეობაზე და სიმტკიცეზე უმჯობესი! თუ სურვილი მხოლოდ სურვილად რჩება და მოქმედებაზე არ გადადის, მაშინ იგი შეიძლება გარდაიქცეს ადამიანის დამღუპველ სენად. რაკი ადამიანს ერთხელ დაებადა კეთილი განზრახვა, საჭიროა, რომ იგი რაც შეიძლება მალე იქმნას აღსრულებაში მოუვანილი ყოველის სიძნელის დაურიდებლად და ამასთან ნათელი და მშვიდი გულით, როგორც სიცოცხლის აუცილებელი მოვალეობა. ვინც უბრალო დაბრკოლებისა ანუ რამე სიძნელის გამო, სწორს გზას უხვევს და ბეჯითობას იკლებს, იგი, იცოდეთ წინათვე, მარცხის მეტს ვერაფერს ნახავს.

ყველაფერი, რასაც კი აქვს რამე ფასი, შეიძლება მიღწეულ იქმნას მხოლოდ მხნე და გულოვანი შრომით. ადამიანის წარმატება დაფუძნებულია იმ ყოვლის-ღონით ცდაზე, რომელსაც ჩვენ ვეძახით ძალის-ხმევას. ამ შემთხვევაში, საკვირველი და გასაშტერებელი ის არის, თუ რა გვარად მსუბუქ-მისაღწევ საქმედ გადაიქცევიან ხოლმე ის ჩვენი საქმეები, რომელნიც იქამდე შეუძლებელ რამედ მიგვაჩნდნენ. მხოლოდ მხდალ და მშიშარა ადამიანებს ჰგონიათ, რომ ესა და ეს საქმე შეუძლებელია: ერთს საფრანგეთის ახალგაზდა აფიცერზე ამბობენ, რომ ის თავის ოთახში სიარულის დროს ჩვეულებრივად შემდეგს ამბობდა: „მე გავხდები საფრანგეთის სპასპეტად და უდიდეს სარდლათაო“. შემდეგში ამან მართლაც მოიპოვა სახელი წარჩინებული სარდლისა და გარდაიცვალა საფრანგეთის სპასპეტად.

ინგლისის მწერალს ლოკერს ისე ღრმად სწამდა ძლიერება ხასია-

71

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისა, რომ, როგორც თითონ ამბობს, ერთხელ, ავადმყოფობის დროს, მე გადავწყვიტე მორჩენა და მართლაც მოვრჩიო. მხოლოდ თვით-მომქმედ ხასიათს და ენერგიით მეცადინეობას შეუ ლიან ქმნას ყოველი. ამიტომ ეცადეთ, რომ ეს ხასიათის ძალა თქვენში იყოს მარად ძლიერი და გაბმულადვი, ეცადეთ მისცეთ თქვენს სიცოცხლეს მტკიცე მიმართულება და ნურა შემთხვევაში სწორს გზას ნუ გადაუდგებით.

ბეკსტონი (გამოჩენილი ინგლისელი 1786—1845 წ.) მტკიცედ დაჯერებული იყო, რომ ახალგაზდას შეუძლიან იმ გვარ კაცად გახდეს, როგორიც თითონა სურსო, თუ ის წინათვე გარკვეულად გამოიანგარიშებს მოქმედების ვითარებასა და გაუტეხელად გაჰყვება ამ თავის გადაწყვეტილებასაო. ერთს თავის შვილთაგანს, რომელიც სკოლაში სწავლობდა, ბეკსტონმა მისწერა: „თუ შენ მტკიცედ გადასწყვიტე იყო ენერგიული და დაუღალავი მომქმედი, მაშ მომილოცნია, შენ ნაშველი ხარ და მომავალში ბევრს გაიხარებ, რომ მაგ გზას დაადექიო“.

არის ერთი ძველებ-ური, მაგრამ ძრიელ მარტივი სიტყვა: „სადაც ხასიათია, გზაც იქ არისო!“ და მართლაც, ვინც ერთხელ მტკიცეთ გადასწყვიტა საქმის შესრულება, მან ამით თითქმის ყველა ღაბრკოლებანი დასძლია და მიაღწევს კიდეც მიზანსა. ვინც დაჯერებულია, რომ იმას შეუძლიან ამა-და-ამ საქმის გაკეთება, იმას, შეიძლება ვსთქვათ, რომ შესრულებულიც აქვს თავისი განზრახვა; ერთი გადაწყვეტა და გამბედაობა საქმის სისრულეში მოყვანისა, ხშირად უდრის თვით საქმის შესრულებას, ასე რომ მტკიცე გამბედაობა აქ თითქმის რომ ყოვლად-შემძლებელ ძალად გამოდის.

ბეკსტონი სიყმაწვილეში მძიმე გონებიანი ყმაწვილი იყო. ბეკსტონს მამა პატარაობაშივე მოუკვდა, მაგრამ დედა მისი, ჭკვიანი ქალი იყო და კარგად გახსნა მასში ხასიათის სიმტკიცე.

ბეკსტონის დედას კარგად ესმოდა, რომ მტკიცე ხასიათი ძალიან საჭიროა ვაჟ-კაცისათვის და ამიტომ ისე ზრდიდა შვილსა, როგორც საკუთარი ჭკუა და შეხედულება უჭრიდა. როდესაც ნაცნობნი ხედავდნენ ყმაწვილის უჯიათობას და დედას ამტყუნებდნენ, დედა ასე უპასუხებდა: „რა გაწუხებთ, ეხლა ის უჯიათია, მაგრამ დაინახავთ, რომ შემდეგში კარგად გამოვაო“. სასწავლებელში ბეკსტონი ცოტას სწავლობდა ფა საზოგადოდ იყო რაღაც უხერხული-უსწავლელი. თხუთმეტ წლოვანობაში მან მიატოვა სასწავლებელი და დაბრუნდა სახლში, სადაც გარდა ნავში ცურვისა, ცხენზედ ჯდომისა, თოფის სროლისა და ნადირობისა იგი სხვას არაფერს საქმეს არ აკეთებდა. მაინც ბეკსტონი კეთილი გულის კაცი იყო და ძლიერ უყვარდა ბუნების მოვლენებზე დაკვირვება, თუმცა სულ მცირედ იცოდა კითხვა და წერა. იგი შემკული იყო საკმარისი ნიჭით, აკლდა მხოლოდ ხასიათის შემუშავება, განათლება და გონების გახსნა. სწორედ ამ დროს, როდესაც ბეკსტონი რამე მიმართულებას უნდა დასდგომოდა, მის-და-სანუკეროდ მან გაიცნო ვინმე გერნეის ოჯახობა, რომელიც გაირჩეოდა სხვათა ოჯახებისაგან,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თავისი წმიდა ზნეობით, ისე გონებრივი განვითარებით და დიდი კაცთ-მოყვარეობით. ამ გაცნობამ გერნეის ოჯახობასთან სრულიად სხვა მიმართულება მისცეს ბეკსტონის ცხოვრებას. ამათ ჩაუნერგეს მას თვით-განვითარებისადმი მიმწრაფება, ასე რომ, როდესაც დუბლინის უნივერსიტეტში შესვლისა და დასრულების შემდეგ მან ჯილდოები მიიღო, ყოველი ეს ჯილდო შეკრა და გარნეის ოჯახობას გაუგზავნა შემდეგი წერილით: „ყოველივე ეს არის იმ თვით-განვითარებისადმი მისწრაფების ნაყოფი, რომელიც თქვენ მე ჩამინერგეთო და ამიტომ თქვენ გეკუთვნით ეს ჯილდოებიო“. შემდეგში ბეკსტონმა შეირთო გარნეის ერთი ქალთაგანი. ის ძალა ხასიათისა, რომელიც მას პატარაობაში ვერ არიგებდა ამხანაგებთან, ახლა გარდაიქცა დაუღალავ და გაუტეხელ ენერგიად ყოველ საქმეში, რომელსაც კი ის ხელს მოჰკიდებდა. ყოველ დაწყებულ საქმეს ბეკსტონი ახმარებდა მთლად თავის ძალებსა, და ამით იგი გახდა ერთი უპირველესი მოღვაწეთაგანი. ყოველ მის დაწყობაში გამოჩნდა დაუძლეველი ენერგია და გამბედაობა. მოქმედებასთან ერთად ბეკსტონი უყურადღებოდ არ სტოვებდა თავის გონების გახსნას და თავს არ ანებებდა სწავლასა. საღამოობით ის ბეჯითად კითხულობდა საგანმანათებლო წიგნებსა. კითხვის დროს ის სასტიკად და შეუცვლელად ასრულებდა შემდეგ წესებსა: ორასოდეს შეორე წიგნს ხელს არ მოჰკიდებდა, ვიდრე პირველს ბოლომდე არ წაიკითხავდა. იმ დრომდე არ იტეოდა ესა და ეს წიგნი წაკითხეო, ვიდრე სრულიად არ შეიგნებდა და არ შეისწავლიდა მის შინაარსსა. ეველა სამეცნიერო ხაგნის შესწავლას ის შეუდგებოდა ხოლმე მთელი თავის გონებითი ძალებით.

ბეკსტონი ოცდა-თორმეტი წლისა იყო, როდესაც მან ფეხი შესდგა პარლამენტში და მაშინვე მოიპოვა დიდი გავლენა თავის პატიოსნებით, შრომის-მოყვარეობით და განათლებით. უმთავრესი საქმე, რომელსაც ბეკსტონმა მოახმარა მთელი თვისი ძალები და შეუპოვარი მეცადინეობა, იყო მთელს ინგლისში მონების სრული განთავისუფლება.

ბეკსტონი არ იყო ჰენიოსი, თითქმის არც ისე გამოჩენილი გახსნილი კაცი იყო, თავი არ გამოიჩინა რომელიმე გამოგონებით თუ აღმოჩენით, მაგრამ იმით არის შესანიშნავი, რომ ყოველთვის მოქმედებდა დიდის გულ-მოდგინებით და ამასთან პირიანად, ენერგიულად და გზის აუხვევლად. ბეკსტონის ხასიათი აღმატებით კარგად იხატება მის საკუთარ სიტყვებში, რომლებიც ძალიან კარგ ხელმძღვანელად შეიძლება იყოს ახალ-გაზდებისათვის: „რამდენადაც მეტსა ვცხოვრობ, ამბობდა იგი, იმდენად უფრო ვრწმუნდები, რომ უმთავრესი განსხვავება სუსტთა და ღონიერთა, გამოჩენილთა და სრულიად უმნიშვნელო ადამიანთა შორის, მდგომარეობს იმ ენერგიაში და შეუმუსრავ გამბედაობაში და პირიანობაში, რომლებსაც სხვა და სხვა კაცები სხვა და სხვა ნაირად ხმარობენ თავიანთ მიზნის მისაღწევათაო. ამ თვისებით შეიძლება ადამიანმა მიაღწიოს ყველაფერს, რაც კი რამ არის მისაღწევიო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი., როდესაც ადამიანი მოკლებულია საკუთარ ენერგიას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა გვარი ალმატებითი ნიჭი, ვერაგვარი საკეთილო გარემოებანი ვერ შეამუშავებენ იმ ორ-ფეხ ცხოველსა, რომელსაც უწოდებენ ადამიანსაო“.

აბრამ ლინკოლნი იყო ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და განმათავისუფლებელი ზანგებისა *). დაიბადა 1809 წ. ერთი საწყალი გლეხის ოჯახში. რადგანაც იმ დროს ამერიკაში ჯერ კიდევ იშვიათად ნახავდით სკოლებსა, ამიტომ ლინკოლნმა წერა-კითხვა ისწავლა ერთი მეზობლისაგან, კითხვას ის მალე მიხვდა, მაგრამ ამისი სწავლა ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ კარგა ხანს შეაყენა: ამისი მამა გადასახლდა სხვა ადგილას იმ იმედით, რომ იქ უფრო მეტ შრომის ფასს ავიღებო. როდესაც მოვიდნენ ახალ სამოსახლოზე, მამა და პატარა აბრამი ცხარედ შეუდგნენ მუშაობას: გაკაფეს ტყე ახოს გასაკეთებლად და დათალეს ხეები სახლის ასაშენებლად. აქ სწავლის გაგრძელების ხსენებაც არ შეიძლებოდა. ამის მაგივრად ლინკოლნმა მუდმივი მუშაობით და ზოგჯერ ნადირობით გარდამეტებით დიდი ღონე და სიმრთელე შეიძინა. შემდეგ ლინკოლმა იპოვა დრო გააგრძელოს ამდენი ხნით შეჩერებული სწავლა. მან ცხარედ დაიწყო წიგნების კითხვა და ამის გარდა შეუდგა წერისა და არითმეტიკის შესწავლას, რომლებშიაც ამან ისეთი წარმატება გამოიჩინა, რომ აჯობა თავის მასწავლებელს. წერის შესწავლის შემდეგ ლინკოლნი ხშირად უწერავდა მეზობლებს წერილებსა. ეს საქმე მას ძალიან ახალისებდა სწავლაში, რადგანაც ხედავდა, რომ ამით სარგებლობა მოაქვს სხვისათვის. ლინკონლნი გაუმაძღრად კითხულობდა ყველა წიგნებსა, რომელსაც კი ხელში ჩაიგდებდა. ერთხელ იმან გამოართვა თავიანთ მეზობელს „ვაშინგტონის ცხოვრება“, **) რომელმაც ეს წიგნი იმ პირობით ათხოვა, რომ ძალიან გაუფთხილდეს და არ გააფუჭოს. ლინკოლნი ამ წიგნს ხელიდან არ უშვებდა და მინდორში მუშაობის დროსაც თან დაჰქონდა. მინდორში ამ წიგნსა ლინკონლნი ინახავდა ერთი ხის ფუღუროში, სადაც, ამის ფიქრით, უფრო კარგად შეინახებოდა. ერთხელ მოვიდა დიდი წვიმა და სრულიად გააფუჭა ეს წიგნი. რამდენს არ ეცადა, მაგრამ წიგნი მაინც ვერ გაასწორა: ფასი მისცეს, რით მისცეს, რომ გროში არ აბადია; დარჩა ერთი საშუალება: წავიდეს მეზობელთან და სთხოვოს პატიება; ასეც მოაქცა;

---

*) ზანგებს საზოგადოდ უწოდებენ აფრიკის მცხოვრებლებს. 1480 წლიდამ პორტუგალიელებმა პირველად იწყეს ზანგების სამშობლოდამ გადმოყვანა და გასყიდვა მუშაობაში სახმარად. შემდეგში ამათ მიჰბაძეს ისპანიელებმა, ფრანცუზებმა და ინგლისელებმა, ასე რომ ამ კატორღობის დამამცირებელი საშუალებით მოაშორეს თავიანთ სამშობლოს თერთმეტ მილიონზე მეტი ზანგი და ამერიკაში გაჰყიდეს. აი ეს ზანგები გაანთავისუფლა ლინკოლნმა მათ ბატონების მონობიდამ.

**) ვაშინგტონი იყო ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკის განმათავისუფლებელი ინგლისის მეფობელობიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლვდელმა წინადადება მისცა, მუშაობით გადაუხადოს ზარალი, რომლის შემდეგ ამან უშველა მღვდელს მკაში და ეს წიგნი მას სრულ საკუთრებად დარჩა. შემდეგში ლინკოლნი ხალხმა პრეზიდენტად აირჩია და ბეკსტონსავით ამანაც გაანთავისუფლა მონა-ზანგები მთელს ამერიკის რესპუბლიკაში.

—

საწერი და გასაკვეთი. შრომის მოყვარეობის გარდა, კიდევ რომელი თვისებებია საჭირო ადამიანის წარმატებისთვის? (სიმხნე და გამბედაობა). ვინ იყო ბეკსტონი და რას გვასწავლის მის ცხოვრების გაცნობა? როგორ უნდა წიგნს კითხვა? ამიწერეთ ვინ იყო ლინკოლნი და რით არის იგი შესანიშნავი,

(შემდეგი იქნება)

ქართული ენა.

გაკვეთილი მეოთხე.

ჩიტის ბუდე.

(ნამდვილი ამბავი).

შაქრო ბუჩქებში ჩიტის ბუდეს წააწყდა. ბუდეში პაწაწკინტელა ბარტყები ისხდნენ და ჭყიპინებდნენ. ბალღმა ამოგლიჯა ბუდე ბუჩქიდამ და სახლისაკენ მოკურცხლა.

— „რა უნდა უყო, შვილო, მაგ ბარტყებსა“?—ჰკითხა დედამ შაქროსა.

— უნდა გავზარდო.

— განა არ შეგებრალა მაგათი დედა, შვილები რომ წაართვი? მე რომ შენი თავი წამართვან, ხომ თავს მოვიკლავ“!

შაქრო დაფიქრდა, თვალები ცრემლით აევსო. მივარდა დედას' გადაეხვია და გადაჰკოცნა. მერე დაავლო ხელი ბარტყებიან ბუდესა, გაქანდა ბუჩქებისკენ და ისევ ძველს ადგილზე დაამაგრა.

საწერი და გასაკვეთი. რა იპოვნა შაქრომ ბუჩქებში და რა ქნა? რა უთხრა დედამ შაქროსა? როგორ იმოქმედა დედის სიტყვებმა შაქროზე? დასწერეთ, როგორ უნდა ვეპყრობოდეთ ფრინველებსა და მათს ბარტყებსა.

შავარდენი და მამალი.

(იგავი).

ერთს კაცს გაწვრთნილი შავარდენი ჰყავდა. ჭმევის დროს, დაუწრუწუნებდა თუ არა, შავარდენი მაშინვე ისარივით გაექანებოდა და პატრონს ხელზედ დააჯდებოდა, მამალი კი, როდესაც ვინმე მიუახლოვდებოდა, კისრის ტეხით გარბოდა.

— „საკვირველი უმადური ფრინველები ხართ,—უთხრა ერთხელ შავარდენმა მამალსა: მარტო მაშინ მირბიხართ პატრონისკენ, როდესაც გშიათ. შემოგვხედე ჩვენ: ღონეც დიდი გვაქვს, ყველა სხვა ფრინველზედაც უკეთ დავფრინავთ, მაგრამ, პატრონი რომ დაგვიძახებს, ჩვენ არ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრბივართ, მათკენ მივფრინაეთ და ხელზედ ვაჯდებით, ჩვენ როდი გვავიწყდება, რომ ადამიანები ჩვენზედ ზრუნავენ“.

მამალმა უპასუხა: „შემწვარი შავარდენი არ გინახავს ადამიანების სუფრაზედ, თორემ ვნახამდი, როგორ არ გაიქცეოდი. ჩვენ ტყავი გაგვძრა ადამიანების ხელში: ძროხა დაკლეს—ზედ დაგვაკლეს, ცხვარი დაკლეს—ზედ წაგვაკლეს, არა დაკლეს- მაინც დაგკვლეს!..

—

სწერი და გასაგეთი. რისთვისა წრთვნიან ადამიანები შავარდნებსა? რა გარჩევაა გაწვრთნილ შავარდენსა და მამალს შორის? დასწერეთ საუბარი შავარდენსა და მამალს შორის.

გედი, კიბო და თევზი.

(იგავი).

თევზმა, გედმა და კიბომა
ქირა აიღეს ძალიან ბლომა,
უნდა წაეღოთ ბარგი მთებშია,
შეებნენ თითონ შიგ ურემშია!
თევზი ეწევა მდინარისკენა,
კიბო უკანა, გედი ცისკენა...
არ იქნა, საქმე ვერ მოაგვარეს—
ურემი ცოტაც ვერ გაავორეს...

ამხანაგებში თუ არ სუფევს სიყვარული და სრული თანხმობა, იმათი საქმე უკულმა წავა, მაშინ იქნება მათი დამხობა.

—

სიტყვების ახსნა: დამხობა—დაცემა, დაქცევა, დანგრევა, დალუპვა; დავამხობ ნავს ზღვაში—დავლუპავ ნავს ზღვაში.

სწერი და გასაგეთი. რა საქმე იკისრეს თევზმა, გედმა და კიბომა? როგორ სწევდნენ ესენი ურემსა? მაშ როგორ უნდა გაეწიათ? რით გათავდა მათი დაწყობა? რა არის საჭირო, რომ საამხანაგო საქმე კარგად მიდიოდეს? დასწერეთ: კალამი არის საგანი, ვწერავ არის მოქმედება. საგანია თუ მოქმედება: ვჭამ? ბარი? ვსტირი? დავრბივარ? ქაღლდი? ქარი? დავქროლავ? დავცურავ?

რ წ ყ ი ლ ი.

(ხალხური ლექსი).

წუხელის რწყილმა მიკბინა
შუა ღამისა ხანსაო,
ავდექ ავანთე სანთელი,
გავუდექ იმის კვალსაო;
ვიპოვნე, ურემს დავუდე,
ლამაზ უღელა ხარსაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას გავუყენე შავ-კანა,
მინდორს მივეცი ქარსაო...

გამოცანა. შავი არის შაშვივითა, იკბინება ძალლივითა, პატრონს ღამით ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა.

—

სიტყვების ახსნა. კვალი—ნაფეხარი, დანაჩნევი. ქამანჩა—ჯოხზედ გაბმული ცხენის ძუა ჭიანურის დასაკრავად. შავ-კანა—შავ-ტყავა.

გასაკვეთი. რა არის რწყილი? კიდევ რომელი მწერები იცით?—ტილი, ბადლინჯო, ფუტკარი, ბუზი, კოღო, ბუზანკალი, კალია, ჭრიჭინა.

საწერი. რწყილი მწერია, წიგნი სასწავლო ნივთია, ბურთი? ბარი? ტილი? კუკი? ყაყაჩო? ბატკანი? ინდაური? კოღო? კალია?

მკვეხარა რწყილი.

(ხალხური დექსი)

რწყილმა სთქვა: „ომი მწადიან,
ავისხამ ხანჯალ-ხმალსაო,
წავალ დავხოცამ სუყველას—
დევებს და მათსა მსგავსსაო.
დავიმორჩილებ ქვეყანას,
გავაცნობ ჩემსა ძალსაო,
ჩემსა ურჩებსა ლახტითა
ავურევ რბილსა, ძვალსაო.
შევკრებავ ლომებს, ვეშაპებს,
შევადგენ მათგან ჯარსაო,
ვუბრძანებ—ვინც მე არ მაქოს
მისცენ წყალს, ნიაღვარსაო.
ოქროს ქსოვილსა ჩავიცვამ,
გვირგვინს დავიდგამ თავსაო,
სეირნობისთვის გავ-ჩენ—
ზღვაზე გემებსა, ნავსაო.
ხარკი მაძლიონ შევუთვლი
თევზებს, ბუმბერაზ მთებსაო,
ჩემს ჯარს, ჯამაათს ვუბრძანებ
კიბე ამართონ ცასაო.
მოვიდნენ სრულად ვარსკვლავნი,
ჩემ წინ იხრიდნენ თავსაო,
სადაც წავიდე—მზე-მთვარე
მე მიშუქებდნენ გზასაო...

—

სიტყვების ახსნა. მწადიან—მინდა, მსურს. დევი—ზღაპრული კაცი, ლონიერი, რქიანი და ღრჯოლიანი. ურჩი—გაუგონარი, თავის-ნება. ლახტი—საომარი უტარო მათრახი, თასმისა ანუ ლითონისა. ვეშაპი—სიგრძით ათ-საჟენიანი ცხოველი, ჰგავს თევზსა, სცხოვრობს ზღვებში. ბუმბერაზი—უშველებელი, დიდი; აგრეთვე გმირი; ბუმბერაზი მთა—დიდი, უშველებელი მთა. ჯამაათი—კრება ხალხისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრიჭინა და ჭიანჭველა.

(იგავი ალექსანდრე ჭავჭავაძისა).

ჭრიჭინამ ერთხელ ჭრიჭინით მთელი ზაფხული ატარა,
მერმე შიმშილმა დაბნიდა, რა ცამან თოვა პატარა.
ჭია არსად სჩნდა,
ბუზი არსად ჰსჯდა,
რა ექნა საწყალს დამშეულს? სხვა ღონე ველარ იპოვა,
ეზობელს ჭიანჭველს მიმარბა და მისგან საზრდო ითხოვა,
რამდენსმე მარცვალს ესესხა წლის ახალ მოსავალამდის,
შეჰფიცა: „თავნსა და სარგებელს მოგცემ მკითხვის გასვლამდის“.
ჭიანჭველა სესხს ვერ ეწყობა,
ვერც-ვის ადვილად ენდობა,
და ჰკითხა: „ძმაო, მანამ ზაფხული დარობდა,
მანამ სხვა და სხვა საზრდელით ტყე და მინდორი მრავლობდა,
ნეტა შენ მაშინ სად იყავ და ან რას აკეთებდიო?“
— „დღე და ღამ გამვლელ-გამოვლელს ვუმღერდი, შევაქცევდიო“.
— „უმღერდი-შეაქცევდიო!? კარგი გიქნია შენმა მზემ:
შენახვის დროს თუ მღეროდი, ახლა რომ გშიან — იხტუნე“!

—

კითხვები. რა არის ჭრიჭინა? რამდენნაირია ჭრიჭინა? — ორ-ნაირი: სახლისა და მინდვრისა. აქ რომელ ჭრიჭინაზედაა ლაპარაკი? — მინდვრისაზედ. რა არის მასზედ ნათქვამი? რა არის ჭიანჭველა? ეს როგორღა ატარებს ზაფხულს? რას გვასწავლის ეს იგავი?

საწერი. როგორ გაატარეს ზაფხული ჭრიჭინამ და ჭიანჭველამ და რა შედეგი მოჰყვა მათს ასეთს ცხოვრებას?

კიტრი და ბალი.

(იგავი).

კიტრმა სთქვა: „ყველა ხილს დამწიფება უნდა, მე კი ნორჩიც კარგი ვარო“.

— ბალმა უთხრა: „საქმე ის არის, სიბერეშიაც ვარგოდე, თორემ-დაბერდები თუ არა, ზედაც აღარავინ შემოგხედავს ხოლმეო“.

—

კითხვები. რა დაიკვეხა კიტრმა? რა უთხრა ბალმა?

ხილთა ძეგა.

(ლექსი თეიმურაზ მეფისა).

მ ა რ წ ყ ვ მ ა სთქვა: „მოვალ პირველად, მე ვერა მისწრობს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელად ტკბილია;
წინად რა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილია,
მისგან სჩივიან ყოველნი, ვსჭამეთ, მოგვკვეთა კბილია“.

ტ ყ ე მ ა ლ მ ა უთხრა: „შეგარცხვენს, მარწყვო, ეგ საუბარია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარესი ხარ ყოველთა, არა ხილთა რა დარია;
თავსა მოგჭამენ ჭიანი, ძირი გაქვს მეტად მწარეა,
უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არცლა რა სანუკარია".

ბ ა ლ მ ა უთხრა: ,,ამხანაგნო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,
ხესა თეთრად ავიყვავებ, დავიშვენებ ჩემსა ძირსა,
ბროლისავით გადვიქცეკი, ლალის ფერად შიგნით ჭვივსა,
შაქრის მსგავსად მე დავდნები, რა ჩამიდებს კაცი პირსა".

თ ხ ი ლ მ ა სთქვა: „გკადროთ მართალი, პასუხი ჩემის გულისა,
მოჭყევით ტყუილ-ტყუილსა, მე ამან გამაგულისა;
სალხინო შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა სჯულისა,
ვარ მატკივნელი კბილისა, მერმე დამწველი გულისა".

ქ ლ ი ა ვ მ ა უთხრა: იკვეხით, არა ხართ ჩემი დარია,
ცოტა ხანისა სიცოცხლე რა თქვენი საკვეხარია;
ყველა უგვარო შეყრილხართ, ცუდი გაქვსთ საუბარია,
უფრო ვუყვარვარ ყოველთა, ვარ დიდი სანუკარია".

მ ა ყ ვ ა ლ მ ა უთხრა; ,,არა ვარ ხილი თქვენებრივ ქებული,
უარესი ვარ ყოველთა, არვისგან მოწონებული,
ზედაც მასხია ეკალი, მისთვის ვარ დაწუნებული,
პირველ გლახა ვარ ყირმიზი, მერე პირ-გაშავებული".

კ ი ტ რ მ ა სთქვა: „ რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა,
ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა?
გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, თავი მე არ მექებისა,
ვინცა ჩემითა გაძღება, ციება შეეყრებისა".

ნ ე ს ვ მ ა სთქვა: „ვჩივი ამისთვის, მიწასა მომაყრიანო,
რა გავიზრდები, საჭელად ყველანი მინატრიანო,
მოვლენ, მძებნიან, მპოვებენ, ხორცსა დანითა მჭრიანო,
ციებას, მერმე ცხელებას, ჭირს ჩემგან შეიყრიანო".

ს ა ზ ა მ თ რ ო იტყვის: ,,ნუ უბნობთ, მე არვის დავეცილები,
თავსა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველსა შეგარცხინებო,
შეწუხებულსა სიცხითა მე გულსა მოუგრილებო,
ვარ ჯანაოზი ექიმი, სნეულსაც მოვალხინებო".

ა ტ ა მ მ ა სთქვა: ,,რა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა,
უკეთესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ჰყვავისა,
შეყრა უხარის ყოველსა ტურფისა სანახავისა,
მე და ნესვი ვართ ამშლელი ყოვლისა სენის თავისა".

ვ ა შ ლ მ ა უთხრა: ,,შვენებითა თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი,
ვარ ყოველთა საყვარელი, საამური, საქებარი,
სალხინო და სანადიმო, სუფრაზედაც სადებარი,
გულის ჭირის უკუ-მყრელი, არად უნდა საუბარი".

ბ რ ო წ ე უ ლ მ ა სთქვა: ,,ვერ უბნობთ მართლითა სამართალითა,
ჩემსა უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა.
მე ჩემსა ხესა მოვკმაზავ, ტურფად შევამკობ ხილითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზს სუფრასა ავავსებ იაგუნდითა, ლალითა".

ჭ ერ ა მ ი იტყვის: „ვერ იტყვით თქვენ ჩემსა ვერას ძვირსაო,
ჩემი ხე თეთრად აჰყვავდეს, მსმელნი სხდეს ჩემსა ძირსაო,
როდესაც თვალი შემერთვის, მოინდომებენ ჭირსაო,
კაცი მჭამს, ჭირსა შეიყრის, მერმე მაგინებს ფერსაო".

ნ უ შ მ ა სთქვა: „მე არ მახსენებთ, თქვენ ხართ თავთ› მაქებელი,
სანატრელი ვარ მეფეთა, საჭმლისა შემამკობელი,
უტურფესი ვარ ყოველთა, აქიმთა სახმარებელი,
მკურნალი ყოვლის სენისა. ღვიძლისა მაგრილებელი".

მ ს ხ ა ლ ი იკადრებს ქებასა, ვერ ხართ საქები ენისა,
ჩემებრივ ქვეყანაზედა ხილით ვერა ვინ შვენისა,
უტურფესი ვარ ყოველთა, ნაქები გრძენთა ბრძენისა,
საყვარელი ვარ საჭმელად, მერმე მკურნალი სენისა".

კ ო მ შ მ ა სთქვა: „გკადროთ მართალი ქება ჩემისა გვარისა,
თქვენ არა გმართებთ ყოველთა ცუდისა საუბარია,
მე როგორ დამედარებით, სუნი მაქვს მუშკ-ამბარისა,
ჩემ› შვენება თქვენად ღირს, ესე მეცა მეკმარისა".

—

ხიდი: მარწყვი, ტყემალი, კომში. ატამი, თხილი, მაყვალი, ბროწეული, ბალი, ვაშლი, მსხალი, ჭერამი, ნუში.

საბოსტნე მცენარეები; კიტრი, ნესვი, საზამთრო, გოგრა, ხახვი, ბოლოკი, კომბოსტო, კამა, წიწმატი, სალათა, პიტნა, ტარხუნა, ბადრიჯანი

ანდაზები. ახალს კიტრს და ახალს ამბავს ძვირათ ნუ იყიდი, მალე გაიაფდება.—ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავის თავს შესჭამდაო.—ხილი მეხილესო.—მწიფეს ესროდნენ, მკვახე ცვივოდაო.

გამოცანები. თოკი სვამს, ხბო იბერება (კიტრი ანუ ნესვი, საზამთრო, გოგრა). თეთრათ დავქსელე, წითლათ მოვქსოვე, შავათ ამოვჭერ (მაყვალი).—ტყეში ხარი შემივარდა, გამო, გამო, გიშერაო, ნაბდის ძველა იქ დააგდო, გამოვიდა შიშველაო (წაბლი ანუ თხილი).

სიტყვების ახსნა. ლალი—წითელი ფერის ძვირფასი თვალი; ნიშნავს აგრეთვე ტუჩებსა. მოკვეთა კბილისა—მოჭრა კბილისა რისამე მჟავის ჭამითა. არა ხილთა რა დარია—არა ხილთან არ შესადარებელი; ლხინი—მხიარულება, სიხარული, დროს გატარება, წვეულება. სანუკარი ანუ სანუკვარი—ტკბილეული. თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა—ჩემზედ ცუდსა. ბროლი—ჩუნგბით თეთრი, გამჭვირვალე შუშიდგან მომზადებული; ქვა, აგრეთვე მელექსენი ხმარობენ „თეთრის" მაგიერ: ბროლი ხელი, ე. ი. თეთრი ხელი. ლალის ფერად შიგნით ჭვივსა,—ე. ი. ლალის ფერად შიგ გამოჩანს, გამოსჭვივს. გამაგულისა—გამაჯავრა, გამაბრაზა. სალხინო შემაქცევარი—ლხინში დროს გამტარებელი. ყირმიზი—წითელი; პირ-გაშავებული—პირ-შავი, ე. ი. მაყვალი ჯერ წითლდება და მერე, მოწევაში, შავდება. უბნობა—საუბარი. ლაპარაკი. დაცილება—(ვეცილები) არვის წავედავებით. ჯანაოზი ექიმი—ჯანაოზი უწინდელს დროში ყოფილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთქმული ექიმი და მას აქეთ ყოველს გამოჩენილს ექიმს ან წამალს ჯანაოზს უწოდებენ. სნეული—ავათმყოფი; სენი ანუ სნეულობა—ავათმყოფობა. ტურფა—ლამაზი, მშვენიერი. ამშლელი- დამწყობი. სენის თავი—სენის მიზეზი. საამური—სასიამოვნო. სალხინო და სანადიმო—წვეულებაში სახმარი, დროს გამატარებელი. გულის ჭირის უკუ მყრალი—გულის დარდისა და მწუხარების გადამგდები. არად უნდა საუბარი—ლაპარაკი არ უნდაო. ჩემს უტურფესი ნაყოფი—ე. ი. ჩემზედ ლამაზი ხილი. დარბაზი—უდიდესი ოთახი სასახლეში, სტუმართ მისაღები. იაგუნდი—ძვირფასი თვალი, მოლურჯო ფერისა. მუშკი—საზარდულია პატარა მუცლის ქვეშ ერთგვარის გარეულის თხისა აფრიკაში, რომლიდამაც ჟონავს სუნნელოვანი სითხე. ამბრა—კაშალოტის კუჭში თუ შარდის ბუშტში მზადდება წმინდა სანთლის მაგვარი ნივთიერება, მეტად მშვენიერი სუნისა. ამბრას პოულობენ ზღვებში, ნახევარ საჟენიან ნაჭრის ტოლას, იწონს, რამდენსამე ფუთს. ამბრა კაშალოტებს რჩებათ სიკვდილის შემდეგ. კაშალოტი—ვეშაპის მონათესავე უდიდესი ცხოველია ზღვისა, სიგრ ით ათი საჟენი, სცხოვრობს მრავლად წყნარ ოკეანეში.

კითხვები. რა გემოსია: მარწყვი? ტყემალი? ბალი? თხილი? ქლიავი? მაყვალი? კიტრი? ნესვი? საზამთრო? ატამი? ვაშლი? ბროწეული? ჭერამი? ნუში? მსხალი? კომში? რა ფერისაა: მარწყვი? ტყემალი? ბალი? ქლიავი? მაყვალი? ნესვი? საზამთრო? ატამი? ვაშლი? ბროწეული ჭერამი? ნუში? თხილი? მსხალი? კომში? რით იქებს თავს: მარწყვი? ტყემალი? ბალი? თხილი? ქლიავი? მაყვალი? კიტრი? ნესვი? საზამთრო? ატამი? ვაშლი? ბროწეული? ჭერამი? ნუში? მსხალი? კომში?

საწერი. დასწერეთ პასუხები აქ მოყვანილ კითხვებზედა.

უმადური ჩირგვი.

(იგავი).

ტყეში ეკლიანი ჩირგვი იდგა. მისმა საყვედურმა ქვეყანა აავსო, ამბობდა: „მრცხვენია ჩემს მეზობლებს რომ ვუცქერი! ყველა ლამაზად ყვავის და შეფოთლილა. მე კი ისე უხეიროდ გავუჩენივარ იმ დალოცვილ ღმერთს, რომ ხელსაც არავინ მაკარებს... რომ ჩემი ნატვრა გასჭრიდეს, ოქროს ფოთლებს ვისურვებდიო“.

დაღამდა, ქვეყანა ძილს მიეცა. ჩირგვსაც ჩაეძინა. რომ გათენდა, ნახა, რომ ძირიდამ კენწეროამდინ, სულ ოქროს ფოთლებით არის შემოსილი. გამხიარულდა, მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, ამბობდა: „აი ეხლა კი კმაყოფილი ვარ, ჩემისთანა ფოთლები ამ ტყეში არც ერთი ხეს არა აქვსო“.

გამოიარა გლახაკმა ცარიელის ტომრით, დაინახა, რომ ჩირგვი ოქროს ფოთლებით არის შემოსილი, მივიდა სულ ერთიანად გაკრიფა, ჩაყარა ტომარაში და გზას გაუდგა. დარჩა ჩირგვი ტიტველა.

დაღონდა, მოიოხა ტირილი, გული რომ მოიბრუნა, მოისურვა: „რომ ჩემი ნატვრა გასჭრიდეს, ახლა ბროლის ფოთლებს ვისურვებდიო, იმას მაინც არავინ დამაგლეჯსო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალამდა. ჩირგვს მიერულა. რომ გათენდა, ნახა, რომ ძირიდან კენწერომდინ სულ ბროლის ფოთლებით არის შემოსილი. გამხიარულდა და სთქვა: ,,აი ახლა კი კმაყოფილი ვარ: არც ერთი ხე არა მგავს მე ამ ტყეშიო''.

ასტყდა გრიგალი. შეირყა ტყე, ხეები მილეწ-მოლეწა და ჩირგვსაც მისი ბროლის ფოთლები თავზედ დაამსხვრია. ჩირგვი დაღონდა და კვლავ იწყო წუწუნი: ,,რა უბედურ დღეს გავეჩენივარ იმ დალოცვილ ღმერთსო: ყველა მწვანე ხავერდშია გახვეული და მე კი ტიტველა ვარო: ახლა რომ ჩემი ნატვრა გასჭრიდეს, მწვანე ფოთლებს ვისურვებდიო".

დალამდა. ჩირგვსაც ჩაეძინა. დილას ჩირგვსაც ჩაეძინა. დილას ჩირგვი მწვანე ხავერდში ზის, შეფოთლილია!—,,მადლობა ღმერთს სხვებში მაინც არ გამოვწყდი: მეც ისეთი ფოთოლი მასხია, როგორიც სხვასა" — სთქვა ჩირგვმა.

გაჩნდა ვაცი, დაუარა ჩირგვს და თავიდან ბოლომდის სულ ერთიანად გაკორტნა. გაბრაზდა ჩირგვი და სთქვა: ,,ნეტავი ისევ ჩემი ეკლები მომიბრუნდებოდეს და სხვას აღარაფერს ვისურვებდიო: არც მე დავიწუნებდი და არც სხვას დავაყვედრებდიო''.

დაღონებული მიეცა ნაღვლიან ძილს. დილას რომ გამოეღვიძა. ნახა, რომ ისევ ეკლებით არის შემოსილი. მომხიარულდა ჩირგვი და დანარჩენი ხეებიც დაწყნარდნენ, რომ ჩირგვმა სიამაყეს თავი დაანება და თავის ქერქში ჩადგა.

—

სიტყვების ახსნა. მირულვა, მიერულა—მიეძინა, წასთვლიმა. ვაცი—მამალი თხა, ბოტი; ვაციკი—სამამლე ციკანი. გაკორტნა—წინა კბილებით დაკვნიტა ფოთლები და შეჭამა.

კითხვები. როგორი ჩირგვი იდგა ტყეში? რა არის ჩირგვი? რას ჩიოდა ჩირგვი და რა ინატრა—პირველათ, მეორეთ და მესამეთ?

საწერი. დასწერეთ ჩირგვის ამბავი თქვნი სიტყვებით.

(დასასრული იქნება)

საქართველოს ისტორია.

გაკვეთილი მეოთხე.

ფარნაოზ მეფე

(ისტორიული პოემა მ. გობეჩიასი).

კავკასიონის მაღალ მთის
თოვლით მოსილი მწვერვალი
დილის მზის შუქით ბჭყვრიალებს,
ამაყათ გადმომცქერალი.
დაბლა ფერდობზედ ჰკიდია,
ვით ბუდე ფრინველებისა,
აქა-იქ მწირი ქოხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიულის მცხოვრებლებისა.
ერთის ქოხის წინა სდგას ვინმე,
ჩაფიქრებული ჭაბუკი,
არწივებრ გამომეტყველი,
წერწეტა ტანის, ჩაუქი.
სდგას და გაჰყურებს შორს, ქვევით,
სადაცა მოსჩანს ქვეყანა
ბალებით, ვენახ-ყანებით
მიმოფენილი ყველგანა.
ის მხარე ანდამატივით
იზიდავს ჭაბუკს თავისკენ,
და ესეც უნებურადა
ისწრაფის ტურფა მხარისკენ.
შვილი ოცნებობს, გაჰყურებს
სულ იმ მიმზვიდელს მხარესა
და უზიარებს დედასა
თავისს ფიქრს, სევდას მწარესა:
„არა, მე მეტი აქ ყოფნა,
დედავ, არ შემიძლიანო,
იქ მივისწრაფი, იქ, სადაც
მოძმენი იტანჯვიანო!
„როდემდის უნდა აქ ვიყო,
გულ ხელ, დაკრეფილ, უქმადო?
მესმის ხალხთ კვნესა, ხმა ზღვევის
მიწვევს იქ საიდუმლადო.
,,წავალ და ამოვუდგები
ჩვენის მამულის შვილებსო,
ძლიერ მტრის, აზონის, წინა
ულონოდ ქედ-მოხრილებსო''!
— ვაიმე, შვილო, რომ აზონს
ვერვინ უბედავს განდგომას,
და ძალა უნებურადა
ყველა ფიქრს იხშობს და ნდობას!
მამა შენი და ბიძია,
მამასახლისი სამარა,
უწყალო მტერმა ორივე
გაჰგმირა, დაასამარა.
თვით მამა ჩემი, დარიოზ,
ხელმწიფე კეთილ-შობილი,
უძლეველ მტერმა ძირს დასცა,
ნახევარ ქვეყნის მპყრობელი.
დასავლეთიდგან გამოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკედონელი გმირია,
ძლევა-მოსილმა დაიპყრა
მთლად დედა-მიწის პირია.
საქართველოში დასტოვა
აზონი სისხლის მსმელია,
ვერაგმა ლამის გააქროს
მთლად კავკასიის ერია.
და შენ, ვით მთავრის მემკვიდრეს,
ვინღა დაგინდობს, შვილო?
ამ მთაში მიტომა მყევხარ,
რომ სიკვდილს აგაცილო.
ფარნაოზ დედას ყურს უგდებს,
თან სისხლი უდუღს, შჩქეფარებს,
მაკედონელის ამბითა
გულში ინთება, მგზნებარებს:
,,ის გმირი იყო... ხოლო მე...
მეცა ვგრძნობ ჩემსა ძალასა,
თავ-დავიწყებით როს მივსდევ
ნადირს ტყე-ღრესა, ჭალასა!
,,მზათა ვარ გამოვიწვიო
ქვეყანა საბრძოლველადა,
თავს ვერ ვიკავებ, მწადიან
ზეცას ავფრინდე ხელადა.
,,მსურს მივწვდე, გადავეხვიო
ქართლოსიანებს ძმურადა.
მხურვალე სიტყვით შევსძახო:
წინ, ძმანო, წინ ერთგულადა!
,,ამას ვგრძნობ... ვინ იცის, ეგებ
მეც ვიყო... ერთი რჩეული,
თუმცა დღესა თოვლიან მთებში
შწარე ბედისგან წყვდეული!
„დეე, რაც მოხდეს, მაინც ვცდი
ჩემს ბედს''! სთქვა ესე სვიანმა
და მტკიცედ პირი იბრუნა
დედისკენ სახე-მზიანმა.
დედა კი გულ-დაწყვეტილი
ცრემლით მუხლებზედ დაეცა
და შეევედრა ზეცასა,
რომ თვისს წყალობა მოეცა...
იქ, სადაც მტკვარი ტალღებს
მცხეთის ცახეს სცემს, აპკურებს,
სდგას სასახლე აზონისა.
და ამაყად მას დაჰყურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მტკვარი თავს არ უხრის,
ჯავრიანთ მიბუტბუტებს,
და ვით დედა საიმედო
შვილს არაგვსა, გულს იხუტებს.
თითქოს თავ-მომწონე დარბაზს
ემუქრება: ,,დაიცაო,
ავზღვავდები, ავდიდდები
და შენს კედლებს დავლეწაო''!
სასახლეში ზის აზონი,
ქედ-მაღალი, თავ-გასული,
გვერდით უზის ფარნაოზი,
მდიდრად მორთულ-მოკაზმული.
ტკბილად ემუსაიფება,
ვით მამა დიდ მოყვარული,
მიიწვია, პატივში ჰყავს,
რომ მოიგოს მისი გული.
მხოლოდ დედა ფარნაოზის
ურჩევს: ,,შვილო, გაფრთხილდიო,
მოგხიბლავს და გიღალატებს,
არ დაგინდობს ის ფლიდიო!
,, წამო ჩუმად, მანამ დროა,
ჩემს სამშობლოს ისპაანსო,
და იქიდგან წამოვიყვანთ
ქართლის გამოსახსნელს ჯარსო'',
ფარნაოზი კი იდუმლად
სასახლეში იტანჯება.
კაცს ვერ ხედავს, რომ მიენდოს,
გაუმჟღვავნოს თვისს ოცნება.
რომ წავიდეს, სად წავიდეს,
უცხოეთში რას გახდება?
არა, არა, მას არ ძალუძს
მამულისა მოშორება.
მიჰქრის, მიფოთავს მხედარი
დილმის *) გადაშლილს ველზედა,
კისკასი, მხარ-ბეჭიანი
ჰშვენის ბედაურს ცხენზედა.
მის გაშლილს შუბლსა ატყვია
სიმამაცობის ბეჭედი,

---

*) დიდმის ველი — მშვენიერი მინდორია სოფელ დიღომსა და მტკვარს შუა, თბილისიდამ 8 ვერსზე, ზევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა ფრინველი ვერ უსწრობს
და ეს ირემი თავხედი
    უეცრად გამონახტომი...
ნეტა სად დაემალება,
რომ ვერ აკარებს ფეხს მიწას,
შურდულებრ მიექანება?
    რქა ხშირი, ბორჯღლებიანი
ზურგზედა გადუფენია,
წინ თავ-წართმევით ლამაზი
ყელ-პირი გაუწვდენია.
    დედამიწაში რომ ჩაძვრეს,
მხედარი იქაც ჩასწვდება,
ფრთაც რომ მოისხას, მის მჭრელი
ისარი მას არ ასცდება.
    ფეხ-მარდი ბუნების შვილი
ელვა-ქარივით მიჰქროლავს,
ხან სულ თვალთ მიეფარება,
ხან ისევ სადღაც იჩენს თავს.
    ბედაურიცა სწრაფია,
ვით გასროლილი ისარი,
მკერდით მიაპობს ჰაერსა,
ფრიალებს ხშირი ფაფარი.
    მიჰქრის ირემი, მაგრამ, ვაჰ,
ისარმა გაუწკრიალა,
და სასიკვდილოდ დაჭრილმა
საბრალოდ დაიღრიალა
    გადგა ორიოდ ნაბიჯი
და კლდისა ძირსა დაეცა,..
ფარნაოზ წამსვე გადმოხტა
და ნადირს ზურგზედ მოექცა...
    მიმოიხედა გარშემო,
ნახა კლდე გამოქვაბული
სალი კლდის ძირში, უცხო რამ,
კარი ქვით ამოგებული.
    იძრო ჩუგლუგი, დაჰკრა ქვას,
გამოანგრია კედელი...
რას ჰხედავს? თვალ-მარგალიტით
ქვაბია გამოჭედილი!
    ურიცხვი ოქრო და ვერცხლი
ბედნიერს ჭაბუკს თვალსა სჭრის,
მოახტა გახარებული
ცერანს და... მცხეთისკენ მოჰქრის...

—

საქართველოს პარლამენტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთის მთიდგან შხუილით
გადმოჰქუხს ეგრის-მდინარე;
თვალ წარმტაც ამწვანებული
გარდაშლილია წინ არე.
ზამთარ და ზაფხულ ნიადაგ
ჰყვავის ეს ტურფა ალაგი,
ვით თვალთა შორის ალმასი,
ჰშვენის აქ ეგრის-ქალაქი,
თარგამოსის ძის ეგროსის
გმირისგან აშენებული
და ახლა მთავარ ქუჯისგან
უფროორე გამშვენებული.
დღეს მზადებაა ეგრისში,
ხალხი აწყდება ქუჩებსა,
ქუჯი და მისნი ერთგულნი
ელიან უცხო სტუმრებსა.
აი, გაიღო ჭისკარი,
მოდიან ქართლოსიანნი:
ფარნაოზ, იმისი დედა,
თან დანი პირი-მზიანნი.
გამოეგებნენ სალამით,
ქუჯი და მისი მხლებლები
და სასახლეში შემოჰყავთ
ზრდილობიანად სტუმრები.
ფარნაოზმა ჰრქვა: „მთავარო,
მე შენ გიპოვე ამ ქვეყნად
ლირსეულ მამულის-შვილად
და აგირჩიე მეგობრად...
,,შენც ხელი გამომიწვდინე,
ნიშნადა თანაგრძნობისა,
მე აწი აღარ მეშინის
არავითარის მტრობისა.
აი ეს განძი მიიღე,
შეეკრიბოთ მრავლად ჯარიო,
საერთო მტერსა დავეცეთ,
ამოვიყაროთ ჯავრიო!''
ქუჯი-კი მთლად მოხიბლული
მისის დის მშვენიერებით,
ნიშნად თანხმობის, ფარნაოზს
თავ' უკრავს წადიერებით...
უმანკო ქალწულს პირველად
მოჰხვდა ისარი ტრფობისა,
სახეს გადაჰკრა ელფერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომჟღავნელი გრძნობისა.
ეს მშვენიერი ჭაბუკი
გულს ჩაისვენა ხატადა,
შეერთდა ორი არსება
უხილავ ანდამატადა!..

—

მოადგნენ მცხეთას ფარნაოზ
და ქუჯი დიდის ჯარითა,
ეგრისელთ, ოსთა და ლეკთა
შეერთებულის ძალითა.
ახლა-კი იცნო ფარნაოზ
ერმა სამშობლოს მხსნელადა,
გადუდგა მტერს და მიემხრო
თავისს ერთგულს შვილს მთელადა...
ასეა ხოლმე! როდესაც
ჭაბუკი აღტაცებული,
გრძნობს რა დიადის საქმისთვის
იგია მოწოდებული,
იწვევს მოძმეებს და ყველას
სთხოვს შველა-დახმარებასა,—
მას გულ-გრილობით არავინ
არ აქცევს ყურადღებასა.
და მოუხდება მარტოხელს
გზისა გაკაფვა ძნელისა...
ვინ უწყის, როგორ იკარგვის
ძალა საბრალო შვილისა?!
მაგრამ, როს იგი ჭაბუკი
ყოველს სიმწარეს აიტანს
და მაინც სახელოვანად
ლელოს მარტოკა გაიტანს,—
მაშინ-კი... გაჰკვირდებიან,
თაყვანსა სცემენ ერთადა,
აღიარებენ დიდებულ
აზრთა მპყრობელად, ღმერთადა!
თავისუფლების სული ხალხს
კვლავ ფარნაოზმა შთაჰბერა,
შავბნელი გარემოება
შესცვალა, გაასხვაფერა.
აზონი კლარჯეთს გაიქცა
უომრად დამარცხებული,
დედა-ქალაქში შევიდა
ფარნაოზ გამარჯვებული.
გარნა მიზანი კაცისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენად სანატრელია,
მისი მიღწევაც სავსებით
იმდენად უფრო ძნელია.
ხშირად კაცს, რაიმე ზღუდე
აჩერებს შუა გზაზედა,
ის გულ-მოკლული მზად არის
ხელი აიღოს თავზედა...
ხოლო გმირთ შესწევთ იმდენი
სულისა ძლიერებანი,
რომ ვერ აჩერებს მათს სურვილს
ვერა-რა დაბრკოლებანი.
სამხრეთის ცაზედ ღრუბელი
შავადა იკრიბებოდა
და სისხლის ნიაღვარითა
ქართლს წარღვნას ემუქრებოდა.
აზონსა წამოეშველნენ
ჯარები საბერძნეთიდგან,
მაგრამ ფარნაოზ მზადაა,
დაიძრა სწრაფად მცხეთიდგან.
მოწინაღმდეგე ჯარები
ერთმანეთს შეტაკებული,
ქაჯთა-ქალაქში იბრძვიან
ორნივე გამწვავებული.
თავ-ზარს სცემს ბერძნებს ქართველთა
მხედრობა თავ-განწირული;
თვითონ ძლიერი აზონიც
დაეცა გულ-გაგმირული.
აღსრულდა! მზე დაუბნელდა
სასტიკს მტერს ამოხოცილსა,
დარჩა ქართლი და სიმდიდრე
ფარნაოზს ძლევა-მოსილსა.

მ. გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არითმეტიკა.

გამრავლება.

გავსინჯოთ ერთი საინტერესო შემთხვევა რიცხვთა შეკრება-შეერთებისა, სახელდობრ, როცა შესაკრები რიცხვები თანატოლებია, მაგალითად: 8+8+8+8+8+8.

თქვენ, დარწმუნებული ვარ, ხელად გააკეთებთ ამ მოქმედებას: პირველს 8-ს მიუმატებთ მეორეს, გამოვა 16; ამას მიუმატებთ მესამე 8-ს, გამოვა 24; მიუმატებთ მეოთხე 8-ს, გამოვა 32; მიუმატებთ მეხუთე რვას, გამოვა 40, მიუმატებთ უკანასკნელს 8-ს, გამოვა 48.

მაგრამ, ხომ შეიძლება ექვსი თანატოლი შესაკრები კი არ შეგხვდეთ, არამედ ასი და ორასი. ასეთს შემთხვევაში მეტის-მეტად მოსაწყენი იქნებოდა მოქმედების შესრულება და დიდ ხანსაც მოუნდებოდით მათს შეკრებას. ამიტომ თანატოლ შესაკრებთა შესაკრებად გამოიგონეს მესამე არითმეტიკული მოქმედება, რომელსაც ეწოდება გამრავლება. იმის მაგივრად, რომ დასწერონ ასე:

8+8+8+8+8+8=48,

სწერენ მოკლედ ასე: 8×6=48,

ანუ ასე: 8.6=48.

ამას კითხულობენ ასე: 8 გავამრავლოთ 6-ჯერ, იქნება 48, ანუ 6-ჯერ 8 იქნება 48. გამრავლების ნიშანი, როგორც ხედავთ არის მრუდე ჯვარი (×) ანუ წერტილი (.).

გამოდის, რომ გამრავლება არის ისეთი არითმეტიკული მოქმედება, რომლის შემწეობითაც ერთს რიცხვს ამრავლებენ იმდენჯერ, რამდენი ერო�ულიც ირიცხება მეორე რიცხვში.

იმ რიცხვს, რომელსაც ამრავლებენ (ჩვენს მაგალითში 8) ეწოდება გასამრავლებელი, რომლითაც ამრავლებენ (6) — გამამრავლებული და რომელსაც მიიღებენ (8)—ნაწარმოები. დაიხსომეთ, რომ ნაწარმოები არ იცვლება გასამრავლებელ რიცხვების გადასხ-გადმოსხმითა, მაგალითად:

5×3=5+5+5=15.

3×5=3+3+3+3+3=15, ე. ი. იმდენივე.

ამ განმარტების შემდეგ საჭიროა შეისწავლოთ ზეპირად ერთ ნიშნიანი რიცხვების გამრავლება ასამდის, ნაწილ-ნაწილად:

1×1=1	2×2=4	3×3=9	4×4=16	5×4=20
1×2=2	2×3=6	3×4=12	4×5=20	5×6=30
1×3=3	2×4=8	3×5=15	4×6=24	5×7=35
1×4=4	2×5=10	3×6=18	4×7=28	5×8=40
1×5=5	2×6=12	3×7=21	4×8=32	5×9=45
1×6=5	2×7=14	3×8=24	4×9=36	5×10=50
1×7=7	2×8=16	3×9=27	4×10=40	
1×8=8	2×9=18	3×10=30		
1×9=9	2×10=20			
1×10=10				

ეროვნული ბიბლიოთეკა

6×6=36	7×7=49	8×8=64	9×9=81	10×10=100
6×7=42	7×8=56	8×9=72	9×10=90	
6×8=48	7×9=63	8×10=80		
6×9=54	7×10=70			
6×10=60				

ამას ეწოდება გამრავლების ტაბულა. ამ რიცხვების გამრავლება ისე კარგად უნდა გაიკვეთოთ, რომ სადაც უნდა შეგხვდეთ, ხელად მისცეთ პასუხი, ხოლო რომ უფრო კარგად გავარჯიშდეთ გამრავლებაში, მოგვყავს აქ შემდეგი სავარჯიშო: გაამრავლეთ ზეპირად შუაში ჩასმული რიცხვი მის გარშემო რიცხვებზე:

	6			10	
5		7	5		9
4		8	4	7	8
3	2	9	3		7
2		10	2		6

	6			7	
5		7	4		6
4		8	5		9
3	3	9	2	8	8
2		10	3		10

	10			5	
2		9	10		7
3		8	3		4
4	4	7	9	9	8
5		6	2		6

	10			6	
9		5	7		5
8		4	8		4
7	5	3	9	10	3
6			10		2

	2	
3		9
4	6	8
5		7
10		6

როცა თქვენ კარგად შეისწავლით აქ მოყვანილ რიცხვების გამრავლებას, მაშინ თქვენთვის სრულიად ძნელი აღარ იქნება სულ უდიდესი რიცხვების გამრავლებაც. ეს კეთდება ასე:

ავიღოთ პირველად უფრო მარტივი მაგალითი:

1232×3.

აიღეთ თქვენც ფანქარი და ქაღალდი და აკეთეთ ის, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეტყვით. მოქმედება დააწყეთ ასე:

$$\begin{array}{r} 1232 \\ \times\ 3 \\ \hline 3696 \end{array}$$

ე. ი. გასამრავლებელს მოუწერეთ ქვეშ გამამრავლებელი 3, გაუსვით ქვეშ ხაზი და დაიწყეთ გამრავლება ერთეულებიდამ და რაც მიიღოთ, დასწერეთ იქვე ქვეშ ასე: სამჯერ ორი იქნება 6; სამჯერ 3 იქნება 9; სამჯერ 2 იქნება 6 და სამჯერ ერთი იქნება 3, სულ 3696. ავიღოთ ასეთი მაგალითიც:

$$\begin{array}{r} 2771 \\ \times 5 \\ \hline 13655 \end{array}$$

ხუთჯერ ერთი იქნება 5; ხუთჯერ 3 იქნება 15: უნდა იცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება 15-ის ერთიანად დასწეროთ: უნდა 5 ათეული ათეულების ქვეშ დასწეროთ და ერთი ასეული-კი უნდა მიუმატოთ ასეულებს; 5-ჯერ 7 იქნება 35 და 1, რომელიც ჩვენ 15-დამ დაგვრჩა, იქნება 36; აქედამ დასწერთ მარტო 6 ასეულს, 3 ათასს-კი მიუმატებთ ათასებს; 5 ჯერ 2 იქნება 10 და 3 იქნება 13; ეს კი სრულად უნდა დავწეროთ, რადგანაც გამრავლება მოთავდა.

გავამრავლოთ ახლა ისეთი რიცხვები, როცა გასამრავლებელი რიცხვი თავდება ერთი ანუ მეტი ნოლით.

ასეთს შემთხვევაში ამრავლებენ მარტო ნოლის წინა მდებარე რიცხვებს და რასაც მიიღებენ ნაწარმოებში, მარჯვენიდან მოუწერენ იმდენს ნოლს, რამდენიც იყო გამამრავლებელში. მაგალითად: 534×10=5340; 534×100=53400; 534×1000=534000 და სხვა.

ახლა იმედია, რომ თქვენთვის ძნელი არ იქნება გამრავლება, რაც უნდა დიდი რიცხვები იყოს. ავიღოთ, მაგალითად 21753×325. დასწერეთ ქაღალდზე გასამრავლებელი რიცხვები ასე და გაამრავლეთ ისე, როგორც ზემოთ დავწერეთ:

$$\begin{array}{r} 21753 \\ \times\ \ 325 \\ \hline 108765 \\ +\ 65259 \\ 52596 \\ \hline 7069725 \end{array}$$

გავიცნოთ ერთი საინტერესო გამრავლებაც, სახელდობრ, როცა გასამრავლებელი რიცხვები თანასწორი და თანატოლებია, მაგალითად ასეთები; 2×2, 24×24, 100×700, 4×4×4, 7×7×7 და სხვა. ასეთ თანატოლ გასამრავლებელ რიცხვებს ეწოდება თანაგასამრავლებელი რიცხვები, ე. ი. ერთმანერთზე გასამრავლებლები, ხოლო მა ს ნაწარმოებებს—ხარისხი. თანაგასამრავლებელი რიცხვები შეიძლება იყოს ორი ანუ რამდენიმე. აი, მაგალითად, ნ წარმოები ოთხ თანგასამრავლებელ რიცხვისა: 5.5.5.5=625.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გავამრავლოთ ასეთი თანაგასამრავლებელი რიცხვები, უნდა გავამრავლოთ ჯერ პირველი ორი გასამრავლებელი ერთი-ერთმანეთზე, იქნება: 5.5=25; ახლა ეს ნაწარმოები უნდა გავამრავლოთ მესამე ხუთზე, გამოვა: 25.5=125 და ეს ნაწარმოებიც უნდა გავამრავლოთ მეოთხე ხუთზე, გამოვა: 125.5= 625.

იმის და მიხედვით, თუ ხარისხი რამდენი თანაგასამრავლებელი რიცხვების ნაწარმოებია, ხარისხი იწოდება მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და სხვა ხარისხებად, მაგალითად: 10×10=100; ეს ასი არის ათის მეორე ხარისხი; 5.5.5=125; ეს ხარისხი კი არის ხუთის მესამე ხარისხი და სხვა.

რიცხვთა ხარისხოვნებას აღნიშნავენ ასე: 7^3. მაგალითად, ხუთის ათიან ხარისხოვნებას აღნიშნავენ ასე: 5^{10} და იკითხება: ხუთი მეათე ხარისხში ანუ ათ ხარისხიანი ხუთი. ხუთს ეწოდება ხარისხის ძირი, რადგანაც იგია ათჯერ გასამრავლებელი, ხოლო გვერდზე მიწერილ ათს ეწოდება ხარისხის მაჩვენებელი, რადგანაც გვაჩვენებს თუ რამდენჯერ უნდა ავიღოთ ხარისხეულად 5. მეორე და მესამე ხარისხიან რიცხვებს უწოდებენ კვადრატს და კუბს, მაგალითად: 5^2 და 5^3 იკითხება ასე: ხუთი კვადრატში, ხუთი, კუბში, ანუ ხუთის კვადრატი იქნება 5×5=25 ხუთის კუბი იქნება 5.5.5.=125.

(შემდეგი იქნება)

ბუნებისა და მსოფლიოს ცნობა.

ჰაერი.

კარგათ იცით, რომ ჩვენ ვსუნთქავთ ჰაერით, რომ ჩვენ ერთი წამიც არ შეგვიძლიან გავძლოთ უჰაეროდ: საკმაოა დაიხშოთ ცხვირი და პირი, რომ მაშინვე ცუდად იგრძნოთ თავი.

არ არის ისეთი ადგილი დედამიწის ზურგზედ, ჰაერი არ იყოს; ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ყველგან ცხოვრობენ ადამიანები თუ ცხოველები, იზრდება მცენარეები და არც ერთს ამათგანს მცირე ხნობითაც არ შეუძლიანთ იცხოვრონ უჰაეროთ. მაგრამ ჰაერი მარტო დედამიწის ზურგზედ როდია: იგი წყალში და მიწაშიაც არის. რომ ასე არ იყოს თევზებს და მცენარეებსაც არ შეეძლებოდათ ცხოვრება. რომ ჰაერი მიწაშიაც არის, ეს იქიდამაცა სჩანს, რომ მიწაშიაცა სცხოვრობს ბევრი ჭია თუ მატლი და რომ მიწაში ჰაერი არ ყოფილიყო, არც ამათ შეეძლებოდათ მიწაში ცხოვრება. რაკი ასეთი საჭირო საგანი ყოფილა ჰაერი ცოცხალ ბუნებისათვის, ამიტომ იგი აკრავს დედამიწას გარშემო, სიმაღლით 250 ვერსამდე. ამის ზემოთ კი ჰაერი ისე თხელდება და მცირდება, რომ ბოლოს სულაც ქრებ,ა ისპობა, და იწყობა უჰაეროსივრცე, რომელიც ყოვლად შავი და ბნელია, ჰაერი-კი ლურჯი ანუ მტრედის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერია, და ჩვენს თავს ზემოდამ რომ ცას ვხედავთ, ესეც ჰაერია და სხვა არაფერი.

ჰაერის სიმძიმე.

რომ ქვა ხელის გულზედ დაიდოთ, იგრძნოთ, რომ ის მძიმეა, რომ ის აწვება ხელს. ქვა იმიტომ აწვება ხელს, რომ ლამობს მიწაზედ დაცემას, ჩამოვარდნას, მაგრამ ხელი არ უშვებს; ხოლო, ქვა იმიტომ იწევს დედამიწისკენ, რომ დედამიწა იზიდავს და სწევს მას თავისკენ. გამოდის, რომ ქვას იმიტომ აქვს სიმძიმე, რომ მას დედამიწა თავისკენ იზიდავს, ასე რომ, რაც უნდა მცირე და პატარა იყოს საგანი, თუნდა მტვერის ტოლა, მასაც კი დედამიწა თავისკენ იზიდავს და ამიტომ სიმძიმეც აქვს.

ჰაერიც საგანია, იგი, როგორც თქვით, გარს არტყია დედამიწას 250 ვერსამდე სიმაღლით და თუ ამაზე ზევით ვერ მიდის, იმიტომ, რომ ჰაერსაც თავისკენ იზიდავს დედამიწა, მაშასადამე, ჰაერსაც აქვს სიმძიმე. მეცნიერებმა გამოწონეს ერთ ფუტიანი კუბიკური ყუთის ჰაერი და აღმოჩნდა, რომ იგი იწონს $8^1/_2$ მისხალს. აქედამ ადვილად შეგიძლიანთ იანგარიშოთ რამდენს იწონს თქვენი ოთახის ჰაერი.

მარტო ჰაერს როდი აქვს სიმძიმე, სიმძიმე აქვს აგრეთვე სხვა ყველა ჰაერგვარ საგანს—ბოლს, ორთქლს და სხვას, ხოლო ესენი თუ გარბიან ზევით, ეს იმიტომ, რომ ბოლი და ორთქლი ჰაერზე სუბუქია. ხე მძიმეა, ასე რომ ზოგს მორს ადგილიდამაც კი ვერ დასძრავთ, მაგრამ ხე რომ წყალში ჩაგდოთ, ის არ ჩაიძირება, წყლის ზედა-პირზე მოტივტივდება, რადგანაც ხე სუბუქია წყალზე. ესეცვე ითქმის ორთქლზე: ორთქლსაც აქვს სიმძიმე, მაგრამ ის თუ ზევით გარბის, ეს იმიტომ, რომ სუბუქია ჰაერზე. გამოდის, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს უწონო საგანი.

ჰაერის სიმძიმე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის სიმძიმეს ჩვენს ცხოვრებაში, ამიტომ გავიცნოთ იგი უფრო დაწვრილებით. თქვენ უკვე იცით, რომ ჰაერს შეუძლიან შეკუმშვაც და გაგანიერებაც. ეს ჩვენ გამოცდითაც დავამტკიცეთ: როცა წყლით სავსე ღრმა ბადიაში ჩავყავით სწორედ დაჭერილი გადმოპირქვავებული სტაქანი და ხელი დავაჭირეთ, ვნახეთ, რომ სტაქანში მყოფი ჰაერი სულ სტაქნის ძირში მიიკუმშა, მიმტკიცდა და მისი ადგილი წყალმა დაიჭირა. ხოლო, როცა ჰაერით სავსე შუშას საცობი გავუკეთეთ და ანთებულ ლამფის ალზე შევათბეთ, საცობი ხმიანად ამოვარდა, რადგანაც შეთბობისგან ჰაერი გაგანიერდა და საცობი ამოისროლა. დიახ, ჰაერს შეუძლიან შეკუმშვაც და გაგანიერებაც.

განვაგრძოთ გამოცდები. აიღეთ ბუშტი რომელიმე დაკლული ცხოველისა თუ ქათმისა და ჩაჰბერეთ რამდენჯერმე. ნახავთ, რომ ბუშტი ყოველი მხრიდამ აქეთი-ქით გაიწევს და გაიბერება. რისგან? რა თქმა უნდა იმ ჰაერისაგან, რომელსაც თქვენ ბერვით უშვებთ მასში. ეს უბრალო გამოცდა დაგანახვებთ, რომ როცა ჰაერი განიერდება ანუ იკუმშება, მაშინ ის თანასწორად და თანაბრად აწვება ყველა მხარეს, ხოლო, როცა თავისუფლებას მისცემთ შეკუმშულს ჰაერს, იგი ხელად კვლავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ადგილს იკავებს. საზოგადოთ კი უნდა ვსთქვათ, რომ რამდენადაც ძლიერ არის ჰაერი თუ სხვა ჰაერგვარი შეკუმშული, იმდენად ის ძლიერაც ცდილობს გაგანიერებას, განზე გაწევას. რომ ჰაერი მართლა ყველაფერს აწვება და საკმაოდ მძიმეთაც აწვება, სჩანს შემდეგი უბრალო გამოცდიდამ: აიღეთ წყლით სავსე სტაქანი, და ზემოდამ ქაღალდი და ხელი დააფარეთ, ფრთხილად გადმოაბრუნეთ და ხელი მოაცალეთ. ნახავთ, წყალი არ დაიღვრება. რატომა? იმიტომ, რომ ხელის მაგიერ ქაღალდს ქვემოდამ ჰაერი აწვება და ის არ უშვებს, რომ წყალი დაიღვაროს.

მაგრამ აბა მოახდინეთ ეს გამოცდაც: აიღეთ ძაბრი, დააჭირეთ თქვენი თითი ძაბრის ლულას გარედამ და წყალი ჩააცხით ძაბრში. შემდეგ დააფარეთ ქაღალდი, მის ზემოდამ ხელი და გადმოაპირქვავეთ. ნახავთ, რომ წყალი არც ახლა იღვრება. რატომა? იმიტომა, რომ ქვემოდამ ჰაერი აწვება ქაღალდს და წყალიც ვერ იღვრება. მაგრამ, აბა მოაცალეთ თქვენი თითი ძაბრის ლულას: წყალი ხელად დაიღვრება და ქაღალდსაც თან წაიღებს! რატომა? იმიტომა რომ, როცა თითი აუშვით ლულას, ზემოდამ ჰაერი დააწვა წყალს და ისიც ხელად ჩამოიღვარა...

გააკეთეთ ერთი გამოცდაც: აიღეთ წყლით სავსე სტაქანი, ჩაუშვით შიგ რეზინისა ანუ ლერწმის თუ შუშის მილი და ამოსრუტეთ. ნახავთ, რომ წყალი ხელად ამოვარდება მილით პირში. ამიხსენით რისგან? თქვენ იტყვით -იმისგან, რომ შევისრუტე წყალი, მაგრამ ეს ახსნა არ არის. წყალი-კი არ შეისრუტეთ, არამედ ის ჰაერი, რომელიც მილში იდგა და რა წამსაც ჰაერი ამოსრუტეთ, წყალმა ხელად მისი ადგილი დაიკავა მილში და პირშიაც კი შემოგეჭრათ. ახლა ამიხსენით ისიც თუ წყალი მაინც და მაინც რატომ მირბის მაღლა? იმიტომ, რომ სტაქნის წყალს აწვება ჰაერი და ის ერეკება მას ზევით პირისაკენ. ხოლო, რა წამსაც შეაყენებთ ამოსრუტვას და მილში კვლავ ჰაერი ჩადგება, წყალის დენაც შესწყდება ზევით. რატომა? იმიტომა, რომ ახლა ჰაერი თანაბრათ აწვებ ბა წყალს სტაქნის პირიდამაც და მილიდამაც... ასევე თანაბრათ აწვება ჰაერი ადამიანს და სხვა საგნებსაც. მაგრამ ამას ჩვენ ვერა ვგრძნობთ, ვერ ვამჩნევთ. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ჰაერი ათასი ფუთის სიმძიმით აწვება ადამიანს, მაგრამ ჩვენ ეს აინუნშიაც არ მოგვაქვს, რადგანაც ჰაერი რომ გვაწვება ამოდენა სიმძიმით და ძალით-ყოველი მხრიდამ გვაწვება და იმიტომ ვერ ვამჩნევთ.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანი ა კარად გრძნობს ჰაერის სიმძიმეს, დაწოლას. მაგალითად, მადნებ ' ღ მა ხაროებში მუშაობის დროს, მუშები აშკარად გრძნობენ, რომ ჰაერი ჩვეულებრივზე უფრო ძლიერად აწვება და ამძიმებს მათ, გული ძლიერ უცემთ, ყურებს წუილი გააქვს, სუსტდებიან და მალე იღლებიან. პირიქით, სულ სხვაგვარად მოქმედებს ჰაერის სიმძიმე და დაწოლა ადამიანზე მაღალი მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მწერვალებზე ასვლის დროს. რადგანაც მაღალ მთებზე ჰაერი თხელია, ამიტომ გარე ჰაერი ნაკლებად აწვება ადამიანს და შიგნითი ჰაერი თითქოს აგანიერებს, ასიებს ადამიანს: სისხლი თავში უვარდება, თავბრუ ესხმება და ზოგჯერ თვით პირიდამ, ცხვირიდამ და ყურებიდამაც კი სისხლი წასკდება ხოლმე, მეტადრე ჰაეროსტატით მაღლა ფრენის დროს.

წყალიც ყოველი მხრიდამ აწვება მასში მყოფ საგნებსა, მაშასადამე, თევზებსაც, ამიტომ, ის თევზები, რომლებიც ღრმა ზღვებში ცხოვრობენ, უნდა გაჭყლეტილიყვნენ ზემოდამ იმოდენა წყლის სიმძიმისა და დაწოლისაგან, მაგრამ შიგნიდამაც რომ აწვება ჰაერი, ეს იცავს მათ სრული გაჭყლეტისაგან. რომ ეს ნამდვილია, სჩანს შემდეგი მაგალითიდამ: მომხდარა, რომ დაუჭერიათ თევზი 700 და მეტი საჟენის სიღრმეზე ზღვაში და როცა ჰაერზე ამოუტანიათ, შიგნეულობა პირიდამ გარეთ გადმოსცვივნია.

(შემდეგი იქნება)

პურის ბოსტანი.

მოუვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით.

სასუქი პურის ბოსტნისათვის.

ერთხელ მოახდინეს შემდეგი გამოცდა: აიღეს ორი ქილა, ააგსეს რიყის ქვიშით და დასთესეს თითოში ცხრა-ცხრა მარცვალი შვრიისა. ერთს ქილას რწყავდნენ წმინდა სადა წყლით, ხოლო მეორე ქილას ნეხვში გახსნილი წყლით, განსხვავება დიდი გამოვიდა: სადა წყლით მორწყულმა ქილამ მოიცა მარტო 218 მარცვალი შვრია, ხოლო ნეხვ-გარეული წყლით მორწყულმა მოიცა—2040 მარცვალი, ე. ი. ათჯერ უფრო მეტი.

როგორც ხედავთ ამ გამოცდიდამ, სასუქს დიდი მნიშვნელობა ჰქონია მოსავლისათვის. ახლა, რა გამოდგება სასუქად?—ყველაფერი, რაც კი დამპალა, ე. ი. საქონლის ნეხვი, ადამიანის განავალი, შარდი, დამპალი ფოთოლი, ტოტები, ჭაჭა, ხილი და სხვა. ყველა ეს იმიტომ უნდა ვიხმაროთ დაშლილი და დამპალი, რომ მცენარეს მათ მისაღებად არც კბილები აქვს, რომ დაღეჭოს და არც კუჭი, რომ მოინელოს. მას მხოლოდ წყალში გახსნილი სასუქი შეუძლიან მიიღოს თავისი ფესვებით; ხოლო, რომ სასუქი კარგად და ადვილად გაიხსნას წყალში, უნდა კარგად იყოს დამიწებული და დამპალი. როცა მცენარეს ახლო არა აქვს საკვები, ფესვები მისი გრძელდება ძალზედ და აქეთ-იქით მიდის სიღრმეში და განზედ, რომ იშოვოს საზრდო; ხოლო, თუ ახლო აქვს საზრდო, ე. ი. თუ ჩვენ საკმაოდ მივცემთ მცენარეს სასუქს, მაშინ მას ფესვები აღარ გაუგრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის მოამზადება დასათესად

უპირველესი საქმე მიწის ოთხვნა ანუ დაბარვაა, მოხვნა თუ დაბარვა $1^1/_2$-2 ვერშოკზე მეტი არ უნდა, რომ მის ქვეშეთი (ნიადაგი) მუდამ ნესტიანი იყოს და საზრდოს აძლევდეს მცენარის ფესვებსა. მიწის მოხვნა უნდა რკინის სუბუქი ორ-სამი კავიანი გუთნით, რომ მიწა ააფხვიეროს და არა ბელტებად გადააბრუნოს ერთმანეერთზე. მოხვნა თუ დაბარვა მიწისა უმჯობესია შემოდგომაზედ, რომ ზამთრის ყინვამ დააფქილოს მიწა, ხოლო საზამთრო პურის დასათესად მაშინვე უნდა მოხვნა ანუ დაბარვა, რა წამსაც ყანას მომკით, რომ ნაყანური არ გახმეს და არ გამაგრდეს. ზამთრის პურის დათესვა უნდა ადრე შემოდგომაზედ, ხოლო გაზაფხულისა—ადრე გაზაფხულზე—თებერვლის გასვლამდის, კარგს უქარო დარში.

თესვა უნდა ასე: აარჩიეთ სათესლედ სრულიად საღი და რჩეული თესლი, რომელშიაც სხვა მცენარეთა თესლი ერთიც არ უნდა ერიოს. სათესლე უმჯობესია ისე დაარჩევინოთ ხელით, როგორც ჩვენში საწანდილოდ დარჩევა იცან ხორბლისა. შემდეგში, როცა თქვენი ყანა გექნებათ, საუკეთესო თავთავები უნდა გამოარჩიოთ და შეინახოთ სათესლედ მშრალ ადგილას, რომ გამოშრეს კარგად და არც თაგვი მიუდგეს. ასე შენახული თესლი, თესვის წინ ჩაყარეთ კასრში, დაასხით წყალი, უყავით ორიოდე მუჭა დაფქვილი მარილი და კარგად აურიეთ. რომელი თესლიც წყალმა მოიტივტივოს, გადაყარეთ. შემდეგ წყალი გადაწურეთ და თვითეულ ბოთლ ახალ წყალში გახსენით ერთი მისხალი შაბიამანი (мѣдный купоросъ), დაასხით იმ ხორბალს იმდენი, რომ დაჰფარეს და დასტოვეთ ასე ერთი დღე-ღამე. ეს წამალი მოჰკლამს ყველაფერს, რაც სენიპურში, შემდეგ გადაწურეთ, გაშალეთ რაზედმე და გააშრეთ რამდენადა მე, დააყარეთ ზედ ნაცარი და დაფქვილებული კირი, აურიეთ და ისე დათესეთ.

თესვა უმჯობესია რიგ-რიგად და ჯგუფ-ჯგუფად ასე: გადახანით მეორედ მიწა გუთნითვე ანუ გათოხნეთ და დახაზეთ სიგანით 1 არშინიან ლობიო, კვლებად. ერთ კვალში რომ პური დათესოთ, მეორეში გრძელ მუხუდო, კიტრი, ნესვი, საზამთრო, ხახვი, კარტოფილი, სიმინდი და მისთანა მცენარეები დათესეთ, რომ ყანას ჰაერი და სინათლე თავისუფლად უდგებოდეს. პურის კვალი დახაზეთ ექვსად, აიღეთ თოხი, თუნდა მომცრო, და ერთს ვერშოკ სისქეზე, არხი გაავლეთ და შიგ ხორბალი მოაბნიეთ, დაახლოვებით თითო ვერშოკზე თვითეული მარცვალი და მიწა მიაყარეთ $^1/_2$ ვერშოკის სიღრმეზე გამოვა ქვსი შარი პურისა — ოთხი შარი შიგნით და ორიც აქეთ-იქით ნაპირებიდამ. ლობიოს და მუხუდოს კვალი საკმაოა გახაზოთ ორი აგეთივე არხით და და ნახევარ-ნახევარ არშინზე ორ-ორი ანუ სამ-სამი მარცვალი დათესოთ. როცა ნათესი ამოვიდეს გათოხნეთ. ხოლო, მეორედ და მესამედ გათოხნის დროს, მიწა უნდა ძირებზედ მიაყაროთ, პურსკი გათოხნა არ უნდა, მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად გამარგლეთ. დანარჩენი მცენარეები საკმაოა დათესოთ მარტო შუაზე, ერთ შარად, $^3/_4$-1 არშინზე თვითეული ძირი.

პურის თესვა შეიძლება ჯგუფ-ჯგუფათაც: დახაზეთ ჭანდრაკულად თქვენი მიწა თითო არშინიან კვადრატებად, გაიკეთეთ თოხით ჯვარედინებზე სიღრმით ორ-ვერშოკიანი და სიგანით ნახევარ არშინიანი ორ მოები, მოაბნიეთ შიგ ათი-ოცი მარცვალი და ერთ ვერშოკზე მიწა მიაყარეთ, ასე დათესილი ათი-ოცი მარცვალი იძლევა დიდძალ მოსავალს, თვითეული ათი-ოცი მარცვალი მოგცემთ 10-20 ათას მარცვალს და მოვლაც ისეთი ადვილია, რომ ბალღებს და დედაკაცებსაც შეუძლიანთ მოვლა. სანამ პური თუ სხვა მცენარე აყვავდებოდეს, ორჯელ-სამჯერ უნდა გათოხნოთ, ანუ გამარგლოთ, ხოლო მეორე-მესამე გათოხნის დროს, მიწა ზედ ძირებზედ უნდა მიაყაროთ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მცენარე უფრო მაგრად იდგება ქარის დროს, ძირებსაც მეტს გაიკეთებს და მარცვალსაც მეტს მოგცემსთ. პური ცოტა ადრე უნდა მომკათ, ვიდრე მარცვალი სრულიად გახმებოდეს თავთავში, თორემ მკის დროს მეტი წილი მარცვლისა დასცვივა. როცა პურის თავთავიდამ დაწყებული ღერო პირველ მუხლამდის გაყვითლება, იცოდეთ, რომ დროა მკისა. მაშინვე საუკეთესო თავ-თავები დასჭერით მაკრატლით სათესლედ, დანარჩენი მომკვეთ ნამგლით ფრთხილად. ცელით თავის დღეში არ მოთიბოთ, რადგანაც ბევრი მარცვალი სცვივა. მომკილი თან უნდა შეკრათ ძნებად და დაიყენოთ მომაღლო ადგილას გასაშრობად, სანამ მომკილი სულ გაყვითლდებოდეს. შეაფარეთ შემდეგ ძნა საბძელში და შეუდექით ლეწვას.

იაპონიაში ერთი დესეტინიდამ მოსდით 450 ფუთი პური. მაგრამ ჩვენ დავკმაყოფილდეთ 300 ფუთით და გავსინჯოთ, რამოდენა ადგილია საჭირო ერთს სულზედ, რომ ყოველმა მეოჯახემ თითონ მოიყვანოს პური. ამისათვის ვიანგარიშოთ რა უნდება ერთს კაცს დღეში და წელიწადში გამოსაკვებად.

	დღეში		წელიწადში:	
პური	. $1^1/_2$	გირვანქა.	10	ფუთი
მუხუდო	. $^1/_3$	„	3	„
კომბოსტო	. $2^1/_2$	„	18	„
ჭარხალი ანუ თალგამი.	1	„	10	„
კართოფილი.	2	„	10	„

აქ მოყვანილი რიცხვი პურისა და ბოსტნის სხვა მცენარეებისა სრულიად საკმაოა ერთის კაცის გამოსაკვებად წელიწადში. ამათ მოსაყვანად საჭიროა შემდეგი სივრცის მიწა;

10 ფუთი პურის მოსაყვანად საჭიროა 80 კვ. საჟ.
3 ფ. მუხუდ. ანუ ლობ. მისაღებად . 25 „ „
18 ფ. კომბოსტოს მოსაყვანად . . 18 „ „
20 ფ. კარტოფილის მოსაყვანად . 27 „ „
10 ფ. თალგამის მოსაყვანად . . 20 „ „

ანუ სულ 190 კვ. საჟენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღღეისო.

19 გიორგობისთვეს ქ. თბილისში, ხელმწიფეთ თეატრში, შესდეა სრულიად საქართველოს წარმომადგენელთა კრება. დაესწრო 350 წარმომადგენელამდე საქართველოს ყოველი კუთხიდამ და მთელი თბილისის შეკნებული ქართველობა. ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით კრებამ ერთხმად გამოაცხადა საქართველო თავისუფალ რესპუბლიკად რუსეთის ფარგლებში და აირჩია საბჭო 67 კაცისაგან შემდგარი, რომელმაც დღეიდან უნდა განაგოს ჩვენი ქვეყნის ყოველი სამთავრობო და საკანონმდებლო საქმე.

მაგრამ მარტო მთავრობა ბევრს ვერას გახდება, თუ თითონ ხალხი და საზოგადოება არ გამოვა თვით-მოქმედების გზაზე და თითონაც არ იზრუნებს თავის კეთილ დღეობაზედ. ამ მხრივ დიდი ნაკლი ჰქონდა კრებას და ერთი არავინ გამოჩნდა, რომ ამოდენა ხალხის ყურადღება მიექცია ამ საჭირბოროტო საკითხზე.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ „მხოლოდ ქონებრივსა და გონებრივს დამოუკიდებლობაზედ ჭეშმარიტი და მტკიცე პოლიტიკური თავისუფლება“ და ამიტომ ერთი კვირა მეტი ვსდიეთ საერო კრების მოთავეებს ნება დაერთოთ ჩვენთვის — გვეთქვა ახალი სიტყვა ახალი საქართველოსთვის, მაგრამ ამაოდ, ყველამ ხან ერთთან გიგვზავნა, ხან მეორესთან და სიტყვა მაინც არ გვათქმევინეს, კაცის აზრი დამარღვეს, ხალხს არ გააგებინეს...

მოგვყავს იგი აქ შემოკლებით:

„დღევანდელი კაცობრიობა ჰგავს იმ ლოქოსა, რომელიც გაბმულა მაგარს ბადეში და ამაოდ აწყვეტს აქათ-იქით თავსა და ბოლოს, რომ მოარჩეს ჭირსა — განთავისუფლდეს, მაგრამ ამაოდ!

სწორედ ასეე იწყვეტს კაცობრიობა თავსა: ხან ხალხი ებრძვის ხალხსა, ხან კლასი კლასსა და პარტია პარტიასა და ვართ ერთს გაუთავებელს ბრძოლაში, ჭაპან ქუეტაში. ვინ ამბობს, ბრძოლაც უნდა, მაგრამ არა ერთმანერთს შორის, არამედ და მხოლოდ ბუნებასთან და მის ძალთა ზედ დაუფლებისათვის! ეს არის უზენაესი ჭეშმარიტება და ჩვენც მხოლოდ ამ ჭეშმარიტებისათვის უნდა ვიბრძოლეთ ჩვენი დღენი, მაგრამ რათა, არა სჯობია ვეღლტდეთ და ვიძულებდეთ ერთმანერთსა? არის ერთი შესანიშნავი ანდაზა: „ხემა სთქვა, მე ცული როგორ მომჭრიდა, რომ ჩემივე ხისა ტარი არ ეჩაროსო?!“ ესევე ითქმის კაპიტალიზმზე და კაპიტალისტებზე, რომელთა საბაბითაც და მიზეზითაც სწარმოებს მოხსენებული ბრძოლა კაცთა შორის: „კაპიტალისტები როგორ გვაჯობებდნენ ჩვენ, რომ თვით არ ვაძლევდეთ მათ შეძლებასა და თხებსა?!“ დიახ, სწორედ რომ ჩვენ ვაძლევთ დანას ხელში კაპიტალისტებსა და ისინიც ყელსა გვჭრიან ჩვენივე დანით!

როგორა? — აი, როგორ: რასაც კი გაღავარ ჩენთ ხოლმე შავ დღისათვის, ყველა ასეთი ფული ჩვენ შეგვაქვს ბანკებში თუ კასებში და აი აქედამ უვარდებათ ხელმარჯვე კაპიტალისტებს ხელში მთელი სახალხო სიმდიდრე (გაიხსენეთ თუნდა ის 3—4 მილიონი მანეთი, რომელიც ხელად მოაგროვეს ჩვენს ქვეყანაში ამიერ კავკასიის ბანკისთვის). გამოაცალეთ კაპიტალისტებს ხელიდამ ეს სიმდიდრე, მიმართეთ იგი მთელი ქვეყნისათვის და არა მხოლოდ უწყებულ წრისათვის სასარგებლო საქმეებზე და ნახავთ, რომ კაპიტალიზმი არც ისეთი საშიშარი ვოფილა! ახლა, რა საშუალებაა ისეთი, რომ ხალხის მთელი სიმდიდრიდან, კაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალიზმს ერთი კაპიკიც არ ეძლეოდეს?—სულ უბრალო: სრულიად საქართველოს ბოლიტიკო-ეკონომიური კავშირი''. ამ კავშირში უნდა ჩავეწეროთ ყველა, დიდი და პატარა, განურჩევლად ტომისა, რჯულისა, მდგომარეობა-აზრისა. ყოველი წევრი მოვალეა შეიტანოს კავშირის სალაროში არა ნაკლებ ერთი მანეთისა თვეში, სანამ წევრი წევრად ითვლება, და მეტი კი ვისაც რამდენი უნდა. ეს ფული შეადგენს სრულ საკუთრებას წევრისას და ამიტომ კვლავაც შეუძლიან გაიტანოს უკან, მაგრამ ერთის პირობით: სავალდებულო შესატანი შეუძლიან გაიტანოს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, როგორც სამარხი დახმარება,ხოლო ზედმეტად შემოტანილი კი—როცა უნდა და რამდენიც უნდა. ფულების მოსაკრებად არსდება მთელს საქართველოში ადგილობრივი სარაიონო განყოფილებანი. ყოველი ადგილობრივი განყოფილება სავალდებულო შესატანის ნახევარს წლიური ანგარიშის დამტკიცების უმალ და მასთანავე ერთად უგზავნის ცენტრალურ გამგეობას სრულიად საქართველოს კავშირის საწარმოო თანხის შესადგენად, ხოლო დანარჩენს ფულებს თუ შემოწირულებებს იტოვებენ საკუთარი თანხის შესადგენად. ცენტრალ გამგეობას ირჩევენ რწმუნებულები კავშირის ყველა განყოფილებისა.

ასეთია მოკლედ კავშირის ორგანიზაცია. რომელმაც უნდა აამაღლოს საქართველო უმაღლეს ყოველთა მთათა! უამისოდ ჩვენი ხალხი ისეთივე ბეჩავი დარჩება, როგორც დღემდე იყო, რადგანაც მთავრობას გადასახადებით დაბეგვრა უფრო ემარჯვება ხალხისა, ვიდრე მისი ცხოვრების შ მოქმედებისაკენ მიმართვა. იგი ისეა მოწყობილი, რომ მთელი სახალხო სიმდიდრე შედის მისივე კავშირის სალაროში და არა ვიგინდარების ბანკებში თუ კასებში, რომლებიც ხშირად ხალხისავე ყელის გამოსაჭრელად ხმარობენ მის გამონაზოგსა. ახლა, რა უნდა აკეთოს ჩვენმა კავშირმა?—აი, რა:

1) აარსებს თბილისში და ყველგან, სადაც-კი დაარსებული იქნება მისი განყოფილებები, საწყობებს ჩვენი და უცხო ქვეყნის ყოველგვარ ნაწარმოებთა და იქვე მომხმარებელ დუქნებსა; 2) ჰკრავს კავშირსა სხვა ხალხების ასეთსავე კავშირებთან; 3) ცდილობს მოაწყოს შემოწირულ და შეძენილ მამულებში სამაგალითო სამუშაოებები კურსებითურთ, მოწყობილი საუკეთესო მანქანებით თუ სხვა იარაღებით, აგრეთვე თვით მუშების ცხოვრების იდეალურად მოწყობით (სოციალისტურად), რათა კერძო მოსაქმენი თვალნათლივ ხედავდნენ საერთო მეურნეობის უპირატესობას და მით ნიადაგს უმზადებდეს წარმოებათა განსაზოგადოებას და გასოციალიზაციებას. ერთი სიტყვით, კავშირი ცდილობს დაიჭიროს კერძო კაპიტალისტების ადგილი იმ გარჩევით, რომ როცა კაპიტალისტები თავის მოქმედებაში კერძო ინტერესებით ხელმძღვანელობენ, კავშირი, პირიქით, როგორც ნამდვილი დემოკრატიული დაწესებულება, ხელმძღვანელობს მხოლოდ საყოველთაო ინტერესებით და ამიტომ ცდილობს ყველაფერი ისე მოაწყოს და აწარმოოს, რომ ეს ყველაფერი მთელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხიხათვის იყოს სასარგებლო და არა მხოლოდ ამა თუ იმ კერძო პირისა თუ კომპანია-ჯგუფისათვის...

მთელს წმინდა მოგებას კავშირები ანაწილებენ ასე: ნახევარს აძლევენ დიაღადესად წევრებს პროპორციულად მათგან შემოტანილი ფულისა, რომ დაუფასდეს მათ კავშირის ერთგულება, ხოლო დანარჩენს ხმარობენ სხვა და სხვა საქვეყნო საქმეების მოსაწყობად... ეს გვსურდა გვეთქვა ჩვენი ახალი საქართველოსთვის და ახლა თითონ დაასკვენით—რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდენად შემეცნებულნი და წინდახედულნი გამოდგნენ ჩვენი საერო კრების მოთავენი, როცა ხელი არ შეგვიწყვეს მის განცხადებაში საქვეყნოდ.

,,ბრძნულად მოხმარება სახალხო სიმდიდრისა სასარგებლოდ ყოველთა და არა მარტო რჩეულთა — ეი უდიდესი და უბრწყინვალესი დანიშნულება კაეშირისა წინააღმდეგ კერძო კაპიტალიზმისა და მისგან კერძოთვე წარმოებათა კაპიტალიზაციისა და სიმდიდრის კერძოთვე კონცენტრაციისა; ეი უდიდესი და უდიდებულესი ასპარეზი ჩვენი ქვეყნის იმ მოდვაწეთა და თვით მდიდარ ქველმოქმედთა-თვის, რომელთაც მართლაც გულით უყვართ სამშობლო და მოყვასი! — ეი ნამდვილი კაცად-კაცური იარაღი ბრძოლისა და არა ის ბარბაროსობა, რომელიც ერთმანერთის ყლეტაში და შეძულებაში გამოიხატება დღეს.

მიკვირს და ვერაფრით ამიხსნია: როგორ მოხდა, რომ მეცნიერებით განოქმული ევროპა და ამერიკა ვერ მიხვდა აქამომდე ამ უბრალო აზრსა და ვერ განახორციელა იგი თავის ერთა შორის?! იმედია, ახლა მაინც შეეცდებიან დაიარსონ მსგავსი კავშირები და იხსნან კ-ცობრიობა!..

ქართველებო! მიიღეთ და უერთგულეთ ჩვენს კავშირს, თუ გინდათ მტკიცე და ურყეველი საფუძველი დაუდვათ თქვენი ტურფა სამშობლოს პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრების სიმტკიცე-აღორძინებასა და უმტკივნეულად მიიყვანოთ იგი ბრწყინვალე სოციალიზმის კარებამდე“!..

ივანე ზ. როსტომაშვილი.

ჟურნალის ფონდისთვის.

შემოიტანეს და შემოსწირეს:

1) ა. ი. ძეგეველიშვილმა. . . . . 50 მან.
2) ს. ი. ფორაქიშვილმა. . . . . 50 მან.

სულ წინანდლიანად 800.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

გამოცემის აუტანელ პირობების გამო ჟურნალის მეხუთე და მეექვსე ნომერი გამოვა უვადოდ, ფულის შეგროვების კვალად. ჟურნალს ჯერ-ჯერობით ჰყავს 147 ხელის მომწერი.

„შინა-გიმნაზიის“ კავშირები

როგორც რედაქციას ატყობინებენ, კვარცხანის მსგავსად, მასწავლებელ ა. კაკანაძის მეცადინეობით შემდგარა ,,შინა-გიმნაზიის“ ჯგუფი. სოფელ საგარეჯოს საფეიქრო სკოლაშიაც. ჯგუფში ჯერ-ჯერობით ითვლება 6 მოსწავლე.

მიიღება ხელის-მოწერა თვიურ ჟურნ.

„შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტ-ზე“

ოცი წლის დამდეგამდე 5 მანეთი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Въ Тифлисъ. Туманов. пер. № 24, Ивану Павловичу Ростомашвили.

რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 11 საათამდის.

რედაქტორი ივ. პ. როსტომაშვილი.

გამომცემლობა ,,შინ-სწავლა“.

სტამბა ,,ცხოვრება“, ა. კალანდაძისა, გაბ. ქ. № 4.